დანართი №5

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ინდივიდუალური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
კულტურის კვლევები

VIII დონე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
01-23.09.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი
15-Oct-26

თბილისი

შინაარსი[1]

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 14

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 27

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 39

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 42

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 54

[1] დოკუმენტის დასრულების შემდეგ, გთხოვთ, განაახლოთ სარჩევი, “update table, update entire table”

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[2]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩარკვიანი კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ქვათაძე ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[2] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კულტურის კვლევები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Cultural Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო, უმაღლესი განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[3] (ქართულად და ინგლისურად)	კულტურის კვლევების დოქტორი PhD in Cultural Studies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები Sociology and Cultural Studies 0314.1.4 კულტურის კვლევები/ Cultural Studies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი ISCED – F – 2013-ის მიხედვით	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები Sociology and Cultural Studies 0314.1.4 კულტურის კვლევები/ Cultural Studies
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	40 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №228 გადაწყვეტილება 18.07.2012
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (მაგ.: უცხო ენის ფლობის დონე, კვლევის თეზისი/პროექტი, შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 01 - განათლება; 02 - ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 03 - სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; გაერთიანებულ კვალიფიკაციებში; • ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე; გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე; • სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის

[3] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად სადოქტორო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

	თანხმობა და კვლევის ბაზად შერჩეული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაცია; • კულტურის კვლევების სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება; • სადოქტორო კვლევის თეზისი/პროექტი; • გასაუბრება სპეციალობაში.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„კულტურის კვლევების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და კურსდამთავრებულს ანიჭებს კულტურის კვლევების დოქტორის (PhD) აკადემიურ ხარისხს. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი და მოიცავს 40 ECTS კრედიტის სასწავლო კომპონენტს.
პროგრამა თავისი არსით ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინურია, რაც სრულ შესაბამისობაშია მის სახელწოდებასა და მიზნებთან. პროგრამის მიზანია კულტურის ფენომენის კვლევის საკვანძო მიმართულებების განვითარება, კულტურის კვლევების სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება, დარგობრივი ცოდნის გაღრმავება, კვლევითი და აკადემიური უნარების განვითარება, ასევე სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება.
დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 40 ECTS კრედიტი, შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი მოთხოვნები, გამოაქვეყნოს შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები და წარმატებით დაიცვას სადისერტაციო ნაშრომი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმური მონიტორინგის მიზანი იყო სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის კვლევების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია. პროგრამის შეფასება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად და მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა (ქვესტანდარტები 1.1, 1.2, 1.3, 1.4 და 1.5); 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა (ქვესტანდარტები 2.1, 2.2, 2.3 და 2.4); 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (ქვესტანდარტები 4.1, 4.2 და 4.3).
მონიტორინგის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისგან მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

1. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სახელობითი სია, პოზიციით და მათი პროფესიული დარგის მითითებით.სიაში იყოს მითითებული როგორც აკადემიური, სამეცნიერო, ისე მოწვეული პერსონალიც.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის სახელობითი სია.
3. ყველა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი უკანასკნელი 5 წლის მონაცემებით, შესაბამისი სტატიის ბმულის მითითებით.
4. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი აკადემიური პირების სახელობითი სია.
5. ნაშრომის ხელმძღვანელთა წახალისების მექანიზმები და არსებობის შემთხვევაში დამადასტურებელი მტკიცებულებები.

აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის შესაბამისობა მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებთან და აკრედიტაციის კრიტერიუმებთან.

- **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **მეტწილად შეესაბამება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს**. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ურთიერთთანხვედრაშია და ორიენტირებულია დოქტორანტთა დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მე-4 სტანდარტის 4.1, 4.2 და 4.3 კომპონენტებთან მიმართებით გამოვლენილია ცალკეული საკითხები, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპონენტები შეფასებულია როგორც **„ნაწილობრივ შესაბამისი“**. გამოვლენილი საკითხები ძირითადად პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და შესაბამისი მექანიზმების გაუმჯობესებას უკავშირდება.

- **რეკომენდაციები**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
4.1 ადამიანური რესურსი

- რეკომედებულია პროგრამის განხოციელებაში ჩართული პერსონალის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდებოდეს, მათ მიერ საერთაშორისო ინდექსის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული არანაკლებ 1 სამეცნიერო სტატიით.
- რეკომენდებულია დარგობრივი აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

4.2 დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

- რეკომენდებულია ნაშრომის ხელმძღვანელების მიერ რეგულარულად და სტანდარტის შესაბამისად, ხორციელდებოდეს დარგის შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო იდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალებში.
- რეკომენდებულია ერთ ხელმძღვანელზე დოქტორანტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და მისი რაოდენობის შემცირება.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- რეკომენდებულია უსდ რეგულარულად აფასებდეს პროგრამის პერსონალს და იყენებდეს შედეგების ანალიზს პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებებისთვის.

- **რჩევები**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, „კულტურის კვლევების“ სადოქტორო პროგრამის საჯარო გვერდზე ან მასთან პირდაპირ დაკავშირებულ შესაბამის ელექტრონულ რესურსში უფრო სრულად და ერთიანად იყოს წარმოდგენილი პროგრამაზე მიღების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პროგრამის კონკრეტული დაშვების წინაპირობები, პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესები და მიღებასთან დაკავშირებული ძირითადი პროცედურული საკითხები, რაც გაამარტივებს დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის მოთხოვნებთან წინასწარ გაცნობასა და ინფორმაციის მოძიებას.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები ერთიანი და თანმიმდევრული ფორმით იყოს აღწერილი და მათი მხოლოდ ჩამონათვალის შემთხვევაში, დაკონკრეტდეს აღნიშნული მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების ფორმები.

2.4. სტუდენტების შეფასება

- სასურველია დაზუსტდეს „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსში დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის დადგენილი მინიმალური ზღვარი და შეფასების რუბრიკებში გამოყენებული ქულობრივი შკალები, რათა შეფასების პროცედურები იყოს თანმიმდევრული, მკაფიო და ერთმნიშვნელოვნად აღქმადი დოქტორანტებისთვის.

---

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი

- სასურველია უსდ ხელს უწყობდეს პროგრამის განხორციელებაში უცხოური უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული დოქტორანტთა ადგილების რაოდენობა; ჩარიცხულ დოქტორანტთა რაოდენობა, პროგრამისგან გადასული/პროგრამაზე გადმოსული დოქტორანტთა რაოდენობა, დოქტორანტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 29 სექტემბრის კორესპონდენციის (MES 9 26 0001338597; შემოსული №17984/10-02, 30.09.2026) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაეცნო „კულტურის კვლევების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე მომზადებულ ექსპერტთა დასკვნის პროექტს და წარმოადგინა წერილობითი არგუმენტირებული პოზიცია.

უნივერსიტეტის შენიშვნები, მათ შორის, შეეხებოდა **2.1 კომპონენტს „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“, 2.3 კომპონენტს „სწავლება-სწავლის მეთოდები“ და 2.4 კომპონენტს „სტუდენტების შეფასება“**. დაწესებულების განცხადებით, აღნიშნულ ნაწილებში დასკვნის პროექტში გამოყენებული ცალკეული ფორმულირებები ემთხვევა რამდენიმე დღით ადრე შეფასებული თსუ-ის „ანთროპოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დასკვნაში გამოყენებულ რჩევებს, რასაც უნივერსიტეტი შესაძლო ტექსტობრივ ტავტოლოგიად და ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნევს. ამასთან, უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ დასკვნის აღწერით ნაწილში ცალკეული ფაქტობრივი გარემოებები სათანადოდ არ არის ასახული და წარმოდგენილი შეფასებები სრულად არ შეესაბამება თანდართულ დოკუმენტებში მოცემულ ინფორმაციას, მათ შორის, **სტანდარტი 4-ის „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ კომპონენტების 4.1 და 4.2-ის** ფარგლებში.

[4] **საუკეთესო პრაქტიკა** – საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში არსებული ისეთი მიდგომა, მექანიზმი ან პრაქტიკა, რომელიც გამოირჩევა ეფექტიანობითა და ინოვაციურობით, მნიშვნელოვნად აღემატება აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამიზნე ნიშნული ან წარმატებული მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და განმარტავს, რომ **ტექსტობრივი ტავტოლოგიის არსებობას არ ადასტურებს**. დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რჩევები შემუშავებულია შესაბამისი სტანდარტებისა და კომპონენტების მიხედვით და ეფუძნება პროგრამის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისი მტკიცებულებების ანალიზს. ცალკეული ფორმულირებების მსგავსება, თავისთავად, არ მიუთითებს შეფასების პროცესის არასათანადო განხორციელებაზე, ვინაიდან რჩევები უკავშირდება შესაბამის კომპონენტებში გამოვლენილ საკითხებს.

ამასთან, **კომპონენტების 2.1, 2.3 და 2.4 ფარგლებში გაცემული რჩევების გათვალისწინება პროგრამისთვის სავალდებულო არ არის** და მათი შესრულება დაწესებულების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სტანდარტი **4-ის „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“** კომპონენტების შეფასების შესახებ ინსტიტუციის არგუმენტირებული პოზიცია, თუმცაღა პოზიციაში მოცემული ინფორმაცია ვერ აბათილებს იმ რეკომენდაციებს, რაც დასკვნის პროექტისთვის იყო მომზადებული. დოკუმენტების თავდაპირველ პაკეტში მოცემული მწირი ინფორმაციის გამო, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო სოღრმისეული შეფასების განხორციელება. დამატებითად გამოთხოვილი დოკუმენტების მიღების შემდგომ ექსპერტთა ჯგუფს მოეწოდა მხოლოდ 4 აკადემიური პირის სამეცნიერო პროდუქტიულობის მონაცემები, რაც შეფასებით ვერ ადასტურებს დოქტორანტურის საფეხურისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებსა და სამიზნე ნიშნულებს. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო მიღწევებში, თუმცაღა შეფასება ვერ დაიწერება მხოლოდ ერთი აკადემიური პირის მონაცემების გათვალისწინებით. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია არ მოიცავდა რეალურ არგუმენტს, ფაქტობრივი უზუსტობის დამამტკიცებელ მონაცემს ან/და დამატებით დოკუმენტს ექსპეტთა შეფასების არა რელევანტობის დასამტკიცებლად. შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პერიოდში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

II. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	აკრედიტაციის სტანდარტი	სადოქტორო ჩარჩოს სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	–	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	1.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	–	შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	–	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	–	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	1.4 დოქტორანტის შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**2. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	2.2 დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელება	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**3. რესურსები**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	3.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

4.2	დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	3.2 სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	–	ნაწილობრივ შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	3.4 მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება	აირჩიეთ შესაბამისი
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**4. ხარისხის უზრუნველყოფა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	4.1 შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	–	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	–	აირჩიეთ შესაბამისი

შენიშვნა: სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
- სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი
- აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა
- შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები[5]:

აღწერა - **სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ მოცემული სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებული არსებული მდგომარეობა.

აღწერაში უნდა აისახოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ძირითადი მექანიზმები, მახასიათებლები და პრაქტიკა, სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით.

ანალიზი - განახორციელეთ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით. ანალიზში შეაფასეთ რამდენად უზრუნველყოფს არსებული პრაქტიკა მოთხოვნების შესრულებას.

ანალიზში აისახოს:

ძლიერი მხარეები

განსავითარებელი მხარეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეჯამება - შეაჯამეთ ზემოაღნიშნული აღწერისა და ანალიზის შედეგები და ჩამოაყალიბეთ დასკვნა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

მტკიცებულებები - მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

[5] თითოეული კომპონენტის მიმოხილვის და შეფასებისას, გთხოვთ, გამოიყენოთ აღნიშნული მიდგომები.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს **კულტურის კვლევების სწავლის სფეროს, სადოქტორო საფეხურისა და პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას**. პროგრამის მიზნებში გამოკვეთილია კულტურის რთული და მრავალფეროვანი ფენომენის, მისი სოციალური და პოლიტიკური კონტექსტებისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების კვლევა, ასევე კულტურის კვლევების სფეროში თანამედროვე ცოდნისა და კვლევის მეთოდების დაუფლება.

პროგრამის მიზნები ორიენტირებულია დოქტორანტის მიერ ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის, სამეცნიერო ლიტერატურაში დამოუკიდებლად ორიენტაციისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენების უნარების განვითარებაზე. ამასთან, დარგობრივი თავისებურება ვლინდება კულტურის ფენომენის საკვანძო საკითხებისა და ქვეყნისა და რეგიონისთვის განსაკუთრებით აქტუალური პრობლემების მეცნიერულ კვლევაზე ორიენტაციით.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს დოქტორანტის მომზადებას **დამოუკიდებელი კვლევითი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის**. აღნიშნულ მიზანს ემსახურება როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტები, მათ შორის „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“, „დოქტორანტის

დარგობრივი სემინარი“, „აკადემიური წერა“, ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი და პროფესორის ასისტენტობის კომპონენტი.
პროგრამის მიზნებში ასევე ასახულია **ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებისა და სხვა დარგების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის** მნიშვნელობა, რაც შესაბამისობაშია კულტურის კვლევების ინტერდისციპლინურ ბუნებასთან. არჩევითი კომპონენტები მოიცავს კულტურის კვლევების თანამედროვე ტენდენციებს, კვლევით და გამოყენებით ასპექტებს, მეცნიერების მენეჯმენტსა და სწავლების მეთოდებს.
პროგრამის მიზნები ასევე უკავშირდება **სფეროსა და საზოგადოების განვითარებას** და ითვალისწინებს ქვეყნისა და რეგიონისთვის აქტუალური კულტურული პრობლემების კვლევას, კულტურის შესახებ ცოდნის განვითარებასა და კვლევის შედეგების გავრცელებას. მიზნებში ხაზგასმულია ჰუმანისტური და დემოკრატიული ღირებულებების, ტოლერანტობის, აკადემიური და პროფესიული ეთიკის დაცვის მნიშვნელობაც.

ანალიზი - პროგრამის მიზნებისა და წარმოდგენილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთშედარება აჩვენებს, რომ მიზნები შინაარსობრივად დაკავშირებულია სადოქტორო საფეხურისთვის არსებით **კვლევით და აკადემიურ კომპეტენციებთან**. პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ დარგში არსებული ცოდნის გაღრმავებაზე, არამედ დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებაზე, ინოვაციური მიდგომების გამოყენებასა და ახალი ცოდნის შექმნაზე.
აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით მკაფიოდ არის ასახული კვლევით კომპონენტში. ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი დოქტორანტისგან დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებას, სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას, საკითხის ახლებურ გადაწყვეტასა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნების ჩამოყალიბებას მოითხოვს. კვლევითი პროექტების საჯარო განხილვა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება დამატებით ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევითი კომპეტენციებისა და სამეცნიერო ავტონომიურობის განვითარებას.
სასწავლო კომპონენტების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ პროგრამის მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია კვლევის მეთოდოლოგიის, სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებელი მუშაობის, აკადემიური არგუმენტაციისა და სამეცნიერო ნაშრომის მომზადების შესაბამისი შესაძლებლობები. დარგობრივი სემინარი დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს დარგის აქტუალურ სამეცნიერო საკითხებსა და კონკრეტული კვლევითი პრობლემების თანამედროვე მდგომარეობას, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო დისკუსიაში დამოუკიდებლად მონაწილეობას.
პროგრამის მიზნებისა და კომპონენტების ურთიერთკავშირი ასევე აჩვენებს **სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის დოქტორანტის მომზადების მიმართულებას**. პროფესორის ასისტენტობის კომპონენტი დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს, ჩაერთოს სასწავლო პროცესში, განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა, მონაწილეობა მიიღოს სტუდენტთა ნაშრომების შეფასებასა და სასწავლო რესურსების მომზადებაში.
ამასთან, პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია მის ინტერდისციპლინურ ხასიათთან და ქმნის შესაძლებლობას კულტურის ფენომენის სხვადასხვა თეორიული და მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან შესწავლისთვის. პროგრამის მიზნებში ასევე იკვეთება კვლევის შედეგების პრაქტიკული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც დაკავშირებულია ქვეყნისა და რეგიონისთვის აქტუალური კულტურული საკითხების კვლევასა და მიღებული ცოდნის გავრცელებასთან.
პროგრამის მიზნების შეფასებისას ასევე გამოიკვეთა მათი კავშირი უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებთან, რაც პროგრამის ინსტიტუციურ კონტექსტსა და კვლევით პრიორიტეტებთან მის შესაბამისობას წარმოაჩენს.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის მიზნები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სადოქტორო საფეხურის სპეციფიკასა და კულტურის კვლევების სწავლის სფეროს თავისებურებებს**.
პროგრამის მიზნებში თანმიმდევრულად არის ასახული დარგობრივი ცოდნის გაღრმავება, თანამედროვე კვლევითი მეთოდების გამოყენება, დამოუკიდებელი და ორიგინალური კვლევის განხორციელება, ახალი ცოდნის შექმნა, ინტერდისციპლინური თანამშრომლობა, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის მომზადება და კვლევის შედეგების გავრცელება.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტები არსებითად უკავშირდება აღნიშნულ მიზნებს და ქმნის მათი მიღწევის შესაბამის საფუძველს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი პროექტების ფარგლებში სამეცნიერო სიახლის, საკითხის ახლებური გადაწყვეტისა და ორიგინალური დასკვნების მოთხოვნა, რაც პროგრამის სადოქტორო საფეხურის შესაბამის კვლევით ორიენტაციას ადასტურებს. შედეგად, პროგრამის მიზნები მკაფიოდ უკავშირდება როგორც დარგის განვითარებას, ისე ახალი ცოდნის შექმნასა და მის აკადემიურ და საზოგადოებრივ გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით - კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს **დარგობრივ ცოდნას, კვლევით უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას** და

ორიენტირებულია კულტურის კვლევების სფეროში დოქტორანტის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაზე.
სწავლის შედეგებში ასახულია კულტურული ფენომენების, მათი სოციალური და პოლიტიკური კონტექსტებისა და ინტერკულტურული ურთიერთობების შესახებ ცოდნის გაღრმავება, კულტურის კვლევების სფეროსთვის შესაბამისი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის გამოყენება და კულტურული პროცესების თანამედროვე მიდგომებით კვლევა.
სწავლის შედეგები ასევე ითვალისწინებს **დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების, კვლევის შესაბამისი მეთოდების გამოყენების, ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის, სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობისა და კვლევის შედეგების მეცნიერული გააზრების** უნარებს.
მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ახალი ცოდნის შექმნასა და არსებული ცოდნის განვითარებას**. აღნიშნულ მიმართულებას უკავშირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება, რომელთა ფარგლებში დოქტორანტმა უნდა შეძლოს სამეცნიერო სიახლის წარმოჩენა, საკითხის ახლებური გადაწყვეტისა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნების ჩამოყალიბება.
სწავლის შედეგები ასევე მოიცავს **ინტერდისციპლინური კვლევისა და თანამშრომლობის**, კვლევის შედეგების აკადემიურ სივრცეში წარმოჩენისა და გაზიარების, ასევე სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობებს.
პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია პროფესიული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ შორის აკადემიური და პროფესიული ეთიკის, ჰუმანისტური და დემოკრატიული ღირებულებებისა და ტოლერანტობის პრინციპების დაცვა.

ანალიზი - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთშედარება აჩვენებს, რომ მათ შორის **ლოგიკური და შინაარსობრივი კავშირი** არსებობს. პროგრამის მიზნებში განსაზღვრული დარგობრივი ცოდნის გაღრმავება სწავლის შედეგებში კონკრეტდება კულტურის კვლევების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების ფლობით, კულტურული პროცესების გააზრებითა და კვლევის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით.
პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება **კვლევითი კომპეტენციების მიმართულებით**. მიზნებით გათვალისწინებული თანამედროვე კვლევის მეთოდების დაუფლება, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურაში დამოუკიდებელი ორიენტაცია და ახალი სამეცნიერო მიღწევების დამუშავება სწავლის შედეგებში აისახება დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების, შესაბამისი მეთოდების გამოყენებისა და მიღებული შედეგების მეცნიერული ინტერპრეტაციის შესაძლებლობებში.
სწავლის შედეგები შეესაბამება **სადოქტორო საფეხურისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს**, განსაკუთრებით ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ცოდნის განვითარების მიმართულებით. კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები დოქტორანტისგან მოითხოვს დამოუკიდებელ სამეცნიერო მუშაობას, სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას, ახალი გადაწყვეტისა და ორიგინალური დასკვნების ჩამოყალიბებას. კვლევის შედეგების საჯარო განხილვა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს უწყობს კვლევის ხარისხის შეფასებასა და შემდგომ განვითარებას.
სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთკავშირი. **„ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ და „დოქტორანტის დარგობრივი სემინარი**“ ხელს უწყობს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, სამეცნიერო არგუმენტაციისა და აკადემიურ დისკუსიაში მონაწილეობის უნარების განვითარებას. დარგობრივი სემინარის ფარგლებში საკუთარი კვლევითი საკითხების წარმოდგენა და უკუკავშირის მიღება დამატებით ქმნის კვლევის შედეგების აკადემიური შეფასებისა და განვითარების შესაძლებლობას.
სწავლის შედეგები ასევე თანხვედრაშია კულტურის კვლევების **ინტერდისციპლინურ ბუნებასთან**. სხვადასხვა დისციპლინის პერსპექტივების გამოყენებისა და სხვა სფეროების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა აძლიერებს დოქტორანტის უნარს, კულტურული ფენომენები მრავალმხრივი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომებით შეისწავლოს.
პროფესორის ასისტენტობისა და არჩევითი სასწავლო კომპონენტების გათვალისწინება ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას არა მხოლოდ კვლევითი, არამედ **აკადემიური და პედაგოგიური კომპეტენციების** მიმართულებით. პროფესორის ასისტენტობის კომპონენტი დოქტორანტს აძლევს სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური საქმიანობის გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.

სწავლის შედეგების შეფასებისას მნიშვნელოვანია მათი კავშირი **სადისერტაციო კვლევასთან**. სადისერტაციო კვლევის დამოუკიდებლობის, სამეცნიერო სიახლის, ახალი გადაწყვეტისა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნების მოთხოვნები პირდაპირ უკავშირდება პროგრამის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ქმნის ახალი ცოდნის შექმნისა და დარგის განვითარებაში დოქტორანტის წვლილის წარმოჩენის საფუძველს.

შეჯამება - სწავლის შედეგები მოიცავს დარგობრივ ცოდნას, თანამედროვე კვლევითი მეთოდების გამოყენებას, დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებას, ახალი ცოდნის შექმნასა და არსებული ცოდნის განვითარებას, კვლევის შედეგების კრიტიკულ გააზრებასა და აკადემიურ სივრცეში გაზიარებას. ასევე გათვალისწინებულია ინტერდისციპლინური თანამშრომლობა, პროფესიული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.
სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი ქმნის სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამის საფუძველს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტისა და სადისერტაციო კვლევის მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ **დამოუკიდებელი, ორიგინალური და სამეცნიერო სიახლის შემცველი კვლევის განხორციელებას**.
შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები **თანმიმდევრულად უკავშირდება პროგრამის მიზნებს და შესაბამისობაშია სადოქტორო განათლებისთვის განსაზღვრულ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მოთხოვნებთან**.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამაში **განსაზღვრულია დოქტორანტის სასწავლო, კვლევითი და სადისერტაციო საქმიანობის შეფასების მექანიზმები**, რომლებიც მოიცავს როგორც სასწავლო კომპონენტების, ისე დარგობრივი სემინარის, სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას.

დოქტორანტის სასწავლო საქმიანობის შეფასება ხორციელდება დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედური და დასკვნითი შეფასებების საფუძველზე. პროგრამაში განსაზღვრულია შეფასების ერთიანი, ასქულიანი სისტემა, დადებითი და უარყოფითი შეფასებების შესაბამისი კატეგორიები, დამატებით გამოცდაზე დაშვებისა და საბოლოო შეფასების მიღების პირობები.

დარგობრივი სემინარის ფარგლებში სასემინარო ნაშრომი ფასდება დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ხოლო პრეზენტაცია ცალკე კომპონენტად ფასდება.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულებასა და საჯარო წარმოდგენას**, რომლებიც დოქტორანტის სადისერტაციო კვლევის ნაწილია. კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომზე მზადდება რეცენზია, ხოლო მისი პრეზენტაცია ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება წარმოადგენს **სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობას**. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხორციელდება დაცვის კომისიის მიერ, კონფიდენციალური შეფასებისა და ასქულიანი სისტემის საფუძველზე. განსაზღვრულია შესაბამისი აკადემიური შეფასებები, ასევე დადებითი და უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის შემდგომი მოქმედებები, მათ შორის გადამუშავებული ნაშრომის ხელახლა წარდგენის შესაძლებლობა.

ანალიზი - წარმოდგენილი შეფასების მექანიზმების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაში შეფასება **ეტაპობრივად და მრავალკომპონენტიანად არის ორგანიზებული** და მოიცავს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა ეტაპს. სასწავლო კომპონენტების შეფასების ერთიანი სისტემა ქმნის აკადემიური საქმიანობის შეფასების წინასწარ განსაზღვრულ წესებს, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომბინაცია იძლევა დოქტორანტის მიღწეული შედეგების სხვადასხვა ეტაპზე შეფასების შესაძლებლობას.

დარგობრივი სემინარისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასების მექანიზმები უშუალოდ უკავშირდება პროგრამის **კვლევით სწავლის შედეგებს**. რეცენზენტის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით ნაშრომის შეფასება და პრეზენტაციის ცალკე შეფასება შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს როგორც დოქტორანტის მიერ კვლევის განხორციელების შედეგი, ისე მისი კვლევის აკადემიური წარმოდგენისა და არგუმენტირების უნარები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასებას, რადგან მათი დადებითი შეფასება დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებასთან. აღნიშნული ქმნის **კვლევითი კომპეტენციების ეტაპობრივი დადასტურების მექანიზმს** და უზრუნველყოფს, რომ სადისერტაციო კვლევის საბოლოო ეტაპამდე დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის შედეგები შეფასებული იყოს.

შეფასების სისტემის თანმიმდევრულობა ასევე გამოიხატება სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებაში. დაცვის კომისიის მიერ განხორციელებული კონფიდენციალური შეფასება და ასქულიანი სისტემა უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ფორმალიზებულ პროცედურას. ამასთან, შეფასების შედეგების მიხედვით დოქტორანტისთვის განსაზღვრული შემდგომი პროცედურები, მათ შორის ნაშრომის გადამუშავებისა და ხელახლა წარდგენის შესაძლებლობა, ქმნის შეფასების პროცესის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

ამგვარად, შეფასების მექანიზმები ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპებად არის წარმოდგენილი — **სასწავლო კომპონენტების შეფასებიდან დარგობრივ სემინარსა და კვლევით პროექტებამდე, ხოლო საბოლოოდ სადისერტაციო ნაშრომის შეფასებამდე**. აღნიშნული სტრუქტურა საშუალებას იძლევა, შეფასდეს დოქტორანტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა როგორც სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის ფარგლებში.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **პროგრამაში განსაზღვრულია დოქტორანტის სასწავლო, კვლევითი და სადისერტაციო საქმიანობის შეფასების მრავალკომპონენტიანი და ეტაპობრივი მექანიზმები**.
შეფასების სისტემა მოიცავს სასწავლო კომპონენტების შეფასებას, დარგობრივ სემინარს, სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და სადისერტაციო ნაშრომს. შეფასების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები, რეცენზირება, პრეზენტაციის ცალკე შეფასება და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურები ქმნის დოქტორანტის მიღწეული შედეგების შეფასების შესაბამის საფუძველს.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასების დაკავშირება სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებასთან, რაც უზრუნველყოფს **კვლევითი კომპეტენციების ეტაპობრივ შეფასებას და სადისერტაციო კვლევის მომზადების პროცესში მიღწეული შედეგების დადასტურებას**.
საერთო ჯამში, პროგრამით განსაზღვრული შეფასების მექანიზმები **შესაბამისობაშია სადოქტორო საფეხურის სპეციფიკასთან და ქმნის სწავლის შედეგების შეფასების თანმიმდევრულ, ფორმალიზებულ და მრავალეტაპიან საფუძველს**.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/ პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო-კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია სადოქტორო სტანდარტის ცვლილებების, მოქმედი მოთხოვნების, პროგრამის განვითარების მიმართულებებისა და სადოქტორო განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის განახლების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს **კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, ინტერნაციონალიზაცია და დოქტორანტის, როგორც დამოუკიდებელი მკვლევრის, ჩამოყალიბებაზე აქცენტის გაკეთება**. ამასთან, შენარჩუნებულია კულტურის კვლევების, როგორც ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური სამეცნიერო სფეროს, ძირითადი მიმართულება და კვლევითი საფუძვლები.

პროგრამა მოიცავს **3 წელს და 40 კრედიტის სასწავლო კომპონენტს**, რომელსაც ემატება კვლევითი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 25 სავალდებულო და 15 არჩევით კრედიტს. სავალდებულო კომპონენტებში წარმოდგენილია სადოქტორო დისციპლინური სემინარი, პროფესორის ასისტენტობა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის მეთოდოლოგია. არჩევითი კომპონენტები მოიცავს სწავლების მეთოდებს, კულტურის კვლევების თანამედროვე ტენდენციებს, კვლევით და გამოყენებით ასპექტებს, მეცნიერების მართვას, აკადემიურ წერას, კვლევასა და სწავლებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, თანამედროვე სასწავლო კურსის შემუშავებასა და სხვა აკადემიურ აქტივობებს.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს **ორ სამეცნიერო-კვლევით პროექტსა და დისერტაციის მომზადებასა და დაცვას**. სამეცნიერო-კვლევითი პროექტები დაკავშირებულია სადოქტორო კვლევის თემასთან და უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ სამეცნიერო მუშაობას, მოიცავდეს სამეცნიერო სიახლეს, საკითხის ახალ გადაწყვეტასა და ორიგინალურ სამეცნიერო დასკვნებს. კვლევითი პროექტები დისერტაციის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო მათი დადებითი შეფასება დისერტაციის დაცვის წინაპირობაა.

პროგრამის სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის **საჯარო განხილვასა და აკადემიური უკუკავშირის მიღებას**. კვლევითი პროექტები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელის, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შესაბამისი აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, ხოლო მიღებული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება გათვალისწინებულია დისერტაციის წარდგენამდე.

პროგრამის შინაარსში ასევე ასახულია **ინტერდისციპლინური თანამშრომლობისა და აკადემიური გამოცდილების გაზიარების** შესაძლებლობები. ფაკულტეტის დონეზე ორგანიზებული სადოქტორო დისციპლინური სემინარი აერთიანებს სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს, კოორდინატორებს, სამეცნიერო ხელმძღვანელებსა და დოქტორანტებს.

ამასთან, სტრუქტურა ითვალისწინებს დოქტორანტის **ტრანსფერული და აკადემიური უნარების განვითარებას**. პროფესორის ასისტენტობის კომპონენტი მოიცავს სასწავლო პროცესში მონაწილეობას, სტუდენტებთან მუშაობას, შეფასებას, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებულ საქმიანობასა და ელექტრონული სასწავლო რესურსების მომზადებას.

პროგრამის განახლებული სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს **ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას** — არჩევითი კომპონენტების ფარგლებში უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკრედიტებული ქართული უნივერსიტეტების შესაბამისი სადოქტორო კურსებისა და აქტივობების გამოყენების შესაძლებლობას.

ანალიზი - პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ანალიზი აჩვენებს, რომ მისი კომპონენტები **ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და სადოქტორო საფეხურის სპეციფიკასთან**. 40-კრედიტიანი სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევით ნაწილებად დაყოფა დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, ერთდროულად განავითაროს როგორც დარგობრივი და მეთოდოლოგიური ცოდნა, ისე კვლევითი, აკადემიური და ტრანსფერული უნარები.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთკავშირი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება **კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებაში**. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის მეთოდოლოგია ქმნის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს, ხოლო სადოქტორო დისციპლინური სემინარი დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, განიხილოს დარგის აქტუალური სამეცნიერო საკითხები, წარმოადგინოს საკუთარი კვლევითი საქმიანობა და მიიღოს აკადემიური უკუკავშირი. აღნიშნული კომპონენტები ქმნის საფუძველს შემდგომი დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობისთვის.

კვლევითი კომპონენტის სტრუქტურა — ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა და სადისერტაციო კვლევის თანმიმდევრობა — ხელს უწყობს **დოქტორანტის კვლევითი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას**. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კვლევითი პროექტები დაკავშირებულია სადისერტაციო თემასთან, მოითხოვს სამეცნიერო სიახლისა და ორიგინალური დასკვნების წარმოჩენას და მათი დადებითი შეფასება დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს.
კვლევითი პროექტების საჯარო განხილვისა და აკადემიური რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობა დამატებით უზრუნველყოფს კვლევის **ეტაპობრივ დახვეწასა და აკადემიური ხარისხის გაუმჯობესებას**. ამგვარი მექანიზმი აძლიერებს დოქტორანტის კვლევით ავტონომიურობას და ქმნის აკადემიურ გარემოში კვლევის შედეგების განხილვის შესაძლებლობას.
პროგრამის შინაარსი შეესაბამება **კულტურის კვლევების ინტერდისციპლინურ ბუნებას**. სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის წარმომადგენელთა მონაწილეობით განხორციელებული დარგობრივი სემინარები და არჩევითი კომპონენტები ხელს უწყობს განსხვავებული სამეცნიერო პერსპექტივების გაცნობას, კვლევითი გამოცდილების გაზიარებასა და სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას.
პროფესორის ასისტენტობისა და შესაბამისი არჩევითი კომპონენტების ერთობლიობა ხელს უწყობს დოქტორანტის **აკადემიური და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას**. სწავლების მეთოდები, მეცნიერების მართვა, აკადემიური წერა და კვლევასა და სწავლებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ავსებს დოქტორანტის კვლევით მომზადებას და ქმნის აკადემიური საქმიანობისთვის საჭირო დამატებითი უნარების განვითარების შესაძლებლობას.
ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გათვალისწინებული შესაძლებლობები აფართოებს დოქტორანტის აკადემიურ და კვლევით გამოცდილებას და ქმნის **სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სასწავლო და კვლევით გამოცდილებაში ჩართვის შესაძლებლობას**. აღნიშნული მიმართულება შესაბამისობაშია პროგრამის განვითარების მიზანთან — დოქტორანტის, როგორც დამოუკიდებელი მკვლევრის, ჩამოყალიბებასთან.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, კულტურის კვლევების დარგობრივ სპეციფიკასა და სადოქტორო განათლების მოთხოვნებს**.
პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულად აერთიანებს **დარგობრივ, მეთოდოლოგიურ, კვლევით, აკადემიურ და ტრანსფერულ კომპონენტებს**. სასწავლო კომპონენტები ქმნის დოქტორანტის დარგობრივი ცოდნისა და კვლევითი უნარების განვითარების საფუძველს, ხოლო კვლევითი კომპონენტი უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევის ეტაპობრივ განხორციელებას და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, კვლევითი პროექტების დისერტაციასთან დაკავშირება, მათი საჯარო განხილვა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც ხელს უწყობს **დოქტორანტის დამოუკიდებელ მკვლევრად ჩამოყალიბებასა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას**.
ამასთან, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს კულტურის კვლევების ინტერდისციპლინურ ბუნებას, აკადემიური და ტრანსფერული უნარების განვითარებას და ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ქმნის **დოქტორანტის კვლევითი, აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის შესაბამის და თანმიმდევრულ საფუძველს**.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“ სილაბუსი;

- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს **40 ECTS კრედიტს**, საიდანაც 25 კრედიტი ეთმობა სავალდებულო, ხოლო 15 კრედიტი — არჩევით კურსებსა და აქტივობებს. სავალდებულო კომპონენტში შედის **დოქტორანტის დარგობრივი სემინარი (15 ECTS), პროფესორის ასისტენტობა (5 ECTS) და ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია (5 ECTS)**.
სავალდებულო კომპონენტები ორიენტირებულია დოქტორანტის დარგობრივი, მეთოდოლოგიური და აკადემიურ-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაზე. 5-კრედიტიანი „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიის“ კურსი მოიცავს 125 საათის დატვირთვას და მიმართულია კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური კომპეტენციების განვითარებაზე.
15-კრედიტიანი დარგობრივი სემინარი ორიენტირებულია **აქტუალური სამეცნიერო საკითხების განხილვაზე, კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გააზრებაზე, აკადემიური წერისა და სამეცნიერო პრეზენტაციის უნარების განვითარებაზე**. პროფესორის ასისტენტობის 5-კრედიტიანი კომპონენტი მოიცავს სწავლების, შეფასების, სასწავლო მასალის მომზადებისა და სხვა აკადემიური საქმიანობის ფორმებს.
არჩევითი კომპონენტები დოქტორანტს სთავაზობს სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის კულტურის კვლევების თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევით და გამოყენებით ასპექტებს,

სწავლების მეთოდებს, მეცნიერების მართვას, აკადემიურ წერას, კვლევასა და სწავლებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და სხვა აკადემიურ აქტივობებს.
დარგობრივ მიმართულებას ავითარებს არჩევითი კურსი **„კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“**, რომლის შინაარსი დაკავშირებულია კულტურის კვლევების სფეროში აქტუალურ სამეცნიერო საკითხებთან, კვლევის თანამედროვე მდგომარეობასთან და დარგის უახლეს მიღწევებთან.
სასწავლო კომპონენტის მასალა ძირითადად შეესაბამება კურსების თემატიკასა და სწავლის შედეგებს. დარგობრივი სემინარი ეფუძნება შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურასა და დარგობრივი კვლევის მეთოდოლოგიას, ხოლო კვლევის მეთოდოლოგიის კურსი უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდოლოგიური ცოდნის გაღრმავებას.

ანალიზი - სასწავლო კომპონენტის სტრუქტურისა და შინაარსის ანალიზი აჩვენებს, რომ **სავალდებულო კურსების კრედიტული მოცულობა, შინაარსი და დატვირთვა ძირითადად შეესაბამება მათ მიზნებსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს**. კომპონენტების განაწილება ქმნის შესაძლებლობას, დოქტორანტმა თანმიმდევრულად განავითაროს დარგობრივი, მეთოდოლოგიური და აკადემიური უნარები.
„ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიის“ კურსის შინაარსი და 125-საათიანი დატვირთვა უკავშირდება კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური კომპეტენციების განვითარებას, ხოლო დარგობრივი სემინარი აერთიანებს დარგის აქტუალური საკითხების განხილვას, კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გააზრებას, აკადემიურ წერასა და სამეცნიერო პრეზენტაციას. ამდენად, აღნიშნული კომპონენტები ქმნის კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარების შესაბამის საფუძველს.
პროფესორის ასისტენტობის შემთხვევაში იკვეთება **კომპონენტის შინაარსის, სამუშაო დატვირთვისა და შეფასების მექანიზმის ურთიერთკავშირი**. დოქტორანტის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან კრედიტის მინიჭების დაკავშირება და საქმიანობის შეფასება ხელს უწყობს სასწავლო და პედაგოგიური კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.
განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დარგობრივი სემინარისა და კულტურის კვლევების თანამედროვე ტენდენციებზე ორიენტირებული არჩევითი კურსის ურთიერთკავშირს პროგრამის დარგობრივ სწავლის შედეგებთან. მათი შინაარსი ხელს უწყობს **კულტურის კვლევების განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და უახლესი კონცეფციების გააზრებას, სხვადასხვა პერსპექტივის შეფასებას, ემპირიული მასალის კრიტიკულ ანალიზსა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას**.
სასწავლო კომპონენტებსა და პროგრამის კვლევით შედეგებს შორის კავშირი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება კვლევის მეთოდოლოგიისა და დარგობრივი სემინარის შემთხვევაში. აღნიშნული კომპონენტები ქმნის საფუძველს ისეთი მაღალი დონის კვლევითი კომპეტენციების განვითარებისთვის, როგორიცაა **დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის მეთოდებისა და თეორიული ჩარჩოს დასაბუთებული შერჩევა, ახალი ცოდნის შექმნა და ინოვაციური მიდგომების გამოყენება**.
ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგების ფართო სპექტრის გათვალისწინებით, **ყველა სასწავლო კომპონენტთან მათი კავშირი თანაბრად მკაფიოდ არ არის წარმოჩენილი**. ძირითადი დარგობრივი და მეთოდოლოგიური კომპონენტების კავშირი კვლევით შედეგებთან უფრო თვალსაჩინოა, მაშინ როდესაც პროგრამის ზოგიერთი ფართო კვლევითი შედეგის მიღწევაში ცალკეული სასწავლო კომპონენტების კონკრეტული წვლილი ნაკლებად დეტალურად იკვეთება.
სასწავლო მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ ის ძირითადად შეესაბამება კურსების თემატიკასა და სწავლის შედეგებს. ამასთან, არჩევითი კომპონენტები აფართოებს დოქტორანტის შესაძლებლობებს აკადემიური წერის, სწავლების, მეცნიერების მართვისა და კვლევაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.
სასწავლო და კვლევით კომპონენტებს შორის კავშირი დამატებით მყარდება იმით, რომ **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი უშუალოდ წარმოადგენს სადისერტაციო კვლევის ნაწილს**. დოქტორანტს კვლევითი პროექტების მომზადებისას შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს დარგობრივ სემინარსა და კვლევის მეთოდოლოგიის კურსში მიღებული ცოდნა და გამოცდილება. შესაბამისად, სასწავლო კომპონენტები ქმნის კვლევისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების საფუძველს, ხოლო კვლევითი კომპონენტი უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებელ კვლევაში პრაქტიკულ გამოყენებას.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **პროგრამის სასწავლო კომპონენტი ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და კულტურის კვლევების სადოქტორო საფეხურის სპეციფიკასთან**.
40 ECTS კრედიტის ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების განაწილება ქმნის დოქტორანტის დარგობრივი, მეთოდოლოგიური, კვლევითი და აკადემიური კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგობრივი სემინარისა და კვლევის მეთოდოლოგიის კომპონენტების კავშირი პროგრამის ძირითად კვლევით შედეგებთან და მათი გაგრძელება სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და სადისერტაციო კვლევაში.
სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთკავშირი უზრუნველყოფს მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებელ კვლევაში გამოყენებას.
ამასთან, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ **პროგრამის ფართო კვლევით შედეგებთან ყველა სასწავლო კომპონენტის კავშირი თანაბრად მკაფიოდ არ არის წარმოჩენილი**, თუმცა ძირითადი დარგობრივი და მეთოდოლოგიური კომპონენტები ქმნის სწავლის შედეგების მიღწევის მნიშვნელოვან საფუძველს. მთლიანობაში, სასწავლო კომპონენტი უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევითი და აკადემიური მომზადების შესაბამის საფუძველს და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის კვლევით კომპონენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას-ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურის კვლევები“ განსაზღვრავს პროგრამის შინაარსთან, მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში

მყოფ დაშვების წინაპირობებს. პროგრამაზე დაშვების უფლება აქვთ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს განათლების, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის ფართო სფეროებიდან, რაც ასახავს პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს და კულტურის კვლევების სფეროს სპეციფიკას.
კანდიდატის კვლევითი მზაობის შეფასება ეფუძნება რამდენიმე კომპონენტს. კერძოდ, კანდიდატს მოეთხოვება კულტურის კვლევების სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება. ასევე, კანდიდატი წარადგენს სადოქტორო კვლევის თეზისს/პროექტს, რომლის დადებითად შეფასება მიმღებ კომისიასთან გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობაა.
პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენის ცოდნაც. კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, ხოლო გერმანული ან ფრანგული ენის არჩევის შემთხვევაში — ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა.
დაშვების პროცედურა ითვალისწინებს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობას, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციას, კვლევის თეზისის/პროექტის შეფასებასა და მიმღებ კომისიასთან გასაუბრებას. მიღებას ახორციელებს მიმღები კომისია.
მიღების პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი თსუ-ის ვებგვერდზე. 2026–2027 სასწავლო წლისთვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მოცემულია მიღების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტები, უცხო ენის მოთხოვნები, კვლევის თეზისის/პროექტის წარდგენისა და შეფასების პროცედურები, გასაუბრების პირობები, გასაჩივრების ვადები და სხვა პროცედურული საკითხები.

ანალიზი - დაშვების წინაპირობები შინაარსობრივად დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებთან. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მოთხოვნა და სხვადასხვა ფართო სფეროდან კანდიდატების მიღების შესაძლებლობა შეესაბამება კულტურის კვლევების ინტერდისციპლინურ ბუნებას, ხოლო წინარე კვლევითი გამოცდილების, შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილებისა და კვლევის თეზისის/პროექტის მოთხოვნა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს კანდიდატის აკადემიური და კვლევითი მზაობა.
კვლევის თეზისის/პროექტის შეფასება და გასაუბრება ქმნის კანდიდატის არა მხოლოდ წინა გამოცდილების, არამედ დაგეგმილი სადოქტორო კვლევის შეფასების შესაძლებლობას. უცხო ენის მოთხოვნა ასევე დაკავშირებულია სადოქტორო კვლევის განხორციელებასთან, საერთაშორისო და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებასთან.
ამასთან, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სრულად არ იკვეთება, რამდენად არის უშუალოდ „კულტურის კვლევების“ პროგრამის საჯარო გვერდზე ცალკე და სრულად წარმოდგენილი პროგრამაზე დაშვებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესები, კონკრეტული დაშვების წინაპირობები და შესაბამისი პროცედურული საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ზოგადად ხელმისაწვდომია ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების შესახებ განცხადებაში, მისი უშუალოდ პროგრამის გვერდზე ან მასთან პირდაპირ დაკავშირებულ რესურსში განთავსება გაამარტივებდა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მოძიებასა და პროგრამის მოთხოვნებთან წინასწარ გაცნობას.
მიღების პროცედურები ითვალისწინებს კვლევის თეზისის/პროექტის შეფასებასა და გასაუბრებას, თუმცა წარმოდგენილ პროგრამულ მასალებში სრულად დეტალიზებული არ არის მიმღები კომისიის შემადგენლობის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი. შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე სრულად ვერ ფასდება ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ყველა პროცედურული მექანიზმი.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და კულტურის კვლევების სადოქტორო საფეხურის სპეციფიკასთან**. დაშვების სისტემა ითვალისწინებს კანდიდატის აკადემიური და კვლევითი გამოცდილების, კვლევითი მზაობისა და დაგეგმილი სადოქტორო კვლევის შეფასებას.

ამასთან, პროგრამის საჯარო გვერდზე დაშვებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულად და უშუალოდ წარმოდგენა და მიმღები კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების უფრო დეტალური განსაზღვრა გააძლიერებდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, პროცედურის გამჭვირვალობასა და ობიექტურობის შეფასების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია 2026–2027 სასწავლო წლის სადოქტორო პროგრამებზე მიღების შესახებ; (გამოცხადდა მიღება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე)
- თსუ-ის ვებგვერდზე განთავსებული „კულტურის კვლევების“ სადოქტორო პროგრამა. (TSU.ge)

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, „კულტურის კვლევების“ სადოქტორო პროგრამის საჯარო გვერდზე ან მასთან პირდაპირ დაკავშირებულ შესაბამის ელექტრონულ რესურსში უფრო სრულად და ერთიანად იყოს წარმოდგენილი პროგრამაზე მიღების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პროგრამის კონკრეტული დაშვების წინაპირობები, პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესები და მიღებასთან დაკავშირებული ძირითადი პროცედურული საკითხები, რაც გაამარტივებს დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის მოთხოვნებთან წინასწარ გაცნობასა და ინფორმაციის მოძიებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კულტურის კვლევები“ სწავლის შედეგების შესაბამისად ითვალისწინებს დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული მიმართულებით პროგრამა აერთიანებს სასწავლო და კვლევით

კომპონენტებს, რომლებიც მოიცავს დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას, აკადემიურ კომუნიკაციას, კვლევის შედეგების წარდგენასა და პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებისთვის საჭირო კომპეტენციებს.

კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება სავალდებულო **დოქტორანტის დარგობრივი სემინარი (15 ECTS)** და **„ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ (5 ECTS)**. დარგობრივ სემინარზე დოქტორანტები წარმოადგენენ მოხსენებებს დარგის აქტუალურ სამეცნიერო საკითხებსა და კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. სემინარი ასევე მოიცავს აკადემიური ტექსტის მომზადებას, კვლევის შედეგების არგუმენტირებულად წარმოდგენასა და სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობას. სემინარზე შესრულებული ნაშრომი არ წარმოადგენს დისერტაციის ნაწილს. მეთოდოლოგიის კურსი დოქტორანტებს აცნობს ჰუმანიტარული კვლევის მეთოდოლოგიურ მიდგომებს, კვლევის მეთოდებსა და დამოუკიდებელი კვლევის სტრატეგიის ჩამოყალიბების პრინციპებს.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს **ორ სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით პროექტსა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას**. კვლევითი პროექტები სრულდება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად, უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში და მიზნად ისახავს სამეცნიერო სიახლის, ახლებური გადაწყვეტისა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნების წარმოჩენას. პროექტები გადის რეცენზირებასა და საჯარო განხილვას, რომელშიც მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი და შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი. მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება სავალდებულოა დისერტაციის დასრულებამდე.

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას ემსახურება **პროფესორის ასისტენტობა (5 ECTS)**, რომლის ფარგლებში დოქტორანტი მონაწილეობს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებაში, სასწავლო და შეფასების მასალების მომზადებაში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასებაში, ელექტრონული კურსის შექმნაში, ტუტორობასა და სხვა აკადემიურ საქმიანობაში.

ტრანსფერული და აკადემიური კომპეტენციების განვითარებას ასევე ემსახურება არჩევითი კურსები, მათ შორის **„აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“**, **„მეცნიერების მენეჯმენტი“** და **„ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“**. აღნიშნული კურსები მოიცავს აკადემიური ტექსტის მომზადებასა და სამეცნიერო არგუმენტაციას, კვლევითი პროექტების მართვასა და საგრანტო განაცხადების მომზადებას, ასევე კვლევასა და სწავლებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციების მომზადებას. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთაგან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში, ხოლო ერთ-ერთი მაინც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus-ის, Web of Science-ის ან შესაბამისი მიმართულებებისთვის ERIH PLUS-ის ბაზებში.

ანალიზი - პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა ქმნის დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების ეტაპობრივი განვითარების საფუძველს. დარგობრივი სემინარი და კვლევის მეთოდოლოგიის კურსი უზრუნველყოფს კვლევის დაგეგმვის, მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენების, სამეცნიერო პრობლემის იდენტიფიცირებისა და აკადემიური კომუნიკაციისთვის საჭირო საფუძვლის შექმნას, რომელიც შემდგომ პრაქტიკულად გამოიყენება კვლევით პროექტებსა და სადისერტაციო კვლევაში.

კვლევითი პროექტები პირდაპირ უკავშირდება დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებისა და ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნის უნარებს. მათი რეცენზირება, საჯარო განხილვა და მიღებული რეკომენდაციების სავალდებულო გათვალისწინება ქმნის განმავითარებელი შეფასების მექანიზმს და უზრუნველყოფს კვლევის ეტაპობრივ დახვეწას დისერტაციის საბოლოო წარდგენამდე. ამასთან, დარგობრივი სემინარის ნაშრომის დისერტაციისგან დამოუკიდებლად

შესრულება დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაოს სხვადასხვა დარგობრივ საკითხზე და განივითაროს კვლევითი და აკადემიური კომუნიკაციის უნარები.
პროფესორის ასისტენტობა უზრუნველყოფს კვლევითი კომპეტენციების პრაქტიკულ და აკადემიურ საქმიანობაში გადატანას და ხელს უწყობს სწავლების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარებას. არჩევითი კურსები ამ კომპეტენციებს ავსებს აკადემიური წერის, კვლევითი პროექტების მართვისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.
კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, კვლევის შედეგები წარადგინოს პროფესიულ და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში. ამასთან, პუბლიკაციების რაოდენობასა და საერთაშორისო რეფერირებად/ინდექსირებულ გამოცემებში გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამლიერებს კვლევის შედეგების საერთაშორისო გავრცელებისა და აკადემიური სტანდარტების დაცვის კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესში ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების გამოყენება აღნიშნულ მიმართულებას დამატებით ამყარებს.
ამგვარად, პროგრამაში წარმოდგენილია კომპონენტების თანმიმდევრული კავშირი: სასწავლო კომპონენტები ქმნის კვლევითი და აკადემიური საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების საფუძველს, კვლევითი პროექტები უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებელ გამოყენებას, ხოლო საჯარო განხილვა, პუბლიკაციები, კონფერენციები და პროფესორის ასისტენტობა მიღებული კომპეტენციების პროფესიულ და აკადემიურ გარემოში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლის შედეგებთან და სადოქტორო საფეხურის სპეციფიკასთან შესაბამისობაში**.
სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტები ურთიერთდაკავშირებულია და ქმნის დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების, აკადემიური კომუნიკაციის, კვლევის შედეგების გავრცელებისა და პროფესიულ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობებს.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი პროექტების, საჯარო განხილვისა და განმავითარებელი უკუკავშირის მექანიზმები, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში მონაწილეობის მოთხოვნები, რომლებიც ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა და წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაში გამოყენებულია სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ვერბალური და პრაქტიკული სწავლება, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობა, ანალიზი და სინთეზი, დისკუსია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, ჯგუფური და თანამშრომლობითი მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია და ელექტრონული სწავლება. პროგრამის კვლევითი კომპონენტი ასევე მოიცავს დარგობრივ სემინარებს, სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და სხვა კვლევით აქტივობებს.

სასწავლო კურსში **„კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“** გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია-დებატები, შემთხვევის შესწავლა, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება და ელექტრონული სწავლება. დოქტორანტები ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს, ამზადებენ პრეზენტაციებსა და წერით სამუშაოებს.

კურსში **„აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“** გამოიყენება დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობა, დისკუსია-დებატები, წერითი მუშაობა, წიგნსა და წყაროებზე მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, თანამშრომლობითი სწავლება, ელექტრონული სწავლება და პრეზენტაცია. კურსის ფარგლებში დოქტორანტები ამუშავებენ სამეცნიერო სტატიებს, ამზადებენ რეცენზიას და ქმნიან სამეცნიერო ნაშრომს.

„მეცნიერების მენეჯმენტის“ ფარგლებში გამოყენებულია დისკუსია და დებატები, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. დოქტორანტები პრაქტიკულად ამზადებენ მეცნიერის პროფილს, კვლევითი პროექტის ბიუჯეტს, საპროექტო წინადადებას, CV-სა და სამეცნიერო სტატიის კომპონენტებს.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები გამოიკვეთება კურსებში **„საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“** და **„სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“**. პირველ შემთხვევაში დოქტორანტები ამზადებენ სილაბუსებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს და განიხილავენ მათ აკადემიური მსჯელობის ფორმატში, ხოლო მეორე კურსში ისინი ამზადებენ პროექტს/პრეზენტაციას და საკუთარი სპეციალობის შესაბამისად ადგენენ სწავლების გეგმას.

სავალდებულო კურსში **„ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“** გათვალისწინებულია სალექციო და პრაქტიკული/სასემინარო მუშაობა, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება და ელექტრონული სწავლება. კურსი ორიენტირებულია მეთოდოლოგიური მიდგომების შედარებით ანალიზზე, მათ კრიტიკულ შეფასებაზე, კვლევის სტრატეგიის ჩამოყალიბებასა და ანალიტიკური ნაშრომის მომზადებაზე.

კურსში **„ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“** გამოიყენება დისტანციური სწავლება, პრაქტიკუმი და პრეზენტაცია. დოქტორანტები ქმნიან ელექტრონულ პროდუქტებს და Moodle-ის პლატფორმაზე ელექტრონულ კურსს.

ანალიზი - სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა ძირითადად შეესაბამება სადოქტორო საფეხურის სპეციფიკას, პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კომპონენტების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სწავლების პროცესი არ შემოიფარგლება ცოდნის რეპროდუქციით და მოიცავს დოქტორანტის აქტიურ მონაწილეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, პრაქტიკული ამოცანების შესრულებას, კვლევით საქმიანობას, ანალიტიკურ მსჯელობას, დისკუსიასა და მიღებული შედეგების საჯარო წარდგენას. შესაბამისად, მეთოდები ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გააზრებასა და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას.
კურსებში გამოყენებული მეთოდები ძირითადად ფუნქციურად უკავშირდება შესაბამის სწავლის შედეგებს. კულტურის კვლევების თანამედროვე ტენდენციების კურსში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და დისკუსია ხელს უწყობს სხვადასხვა პერსპექტივის შედარებასა და საკითხების კრიტიკულ გააზრებას. აკადემიური წერის კურსში პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობა პირდაპირ უკავშირდება სამეცნიერო ტექსტის შექმნის, წყაროების კრიტიკული ანალიზისა და აკადემიური არგუმენტაციის უნარებს. მეცნიერების მენეჯმენტის კურსში პრაქტიკული დავალებები დოქტორანტს კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციული და მენეჯერული ასპექტების გამოყენებით გააზრების შესაძლებლობას აძლევს.
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დოქტორანტების მიერ კონკრეტული აკადემიური პროდუქტების დამოუკიდებლად მომზადება, მათი საჯარო განხილვა და უკუკავშირის საფუძველზე დახვეწა. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება სადოქტორო საფეხურზე დოქტორანტის ავტონომიურობისა და თვითმართვადი სწავლის მოთხოვნებს.
„ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიის“ კურსში გამოყენებული მეთოდები განსაკუთრებით დაკავშირებულია კვლევითი კომპეტენციების განვითარებასთან, რადგან დოქტორანტები აანალიზებენ და კრიტიკულად აფასებენ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, აყალიბებენ კვლევის სტრატეგიას და ამზადებენ ანალიტიკურ ნაშრომს. ანალოგიურად, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კურსში პრაქტიკუმი და ელექტრონული პროდუქტების შექმნა უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.
წარმოდგენილი სილაბუსების ერთობლივი ანალიზით იკვეთება მეთოდების მრავალფეროვნება და მათი ძირითადად შესაბამისი შერჩევა კურსების შინაარსის, მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით. ამასთან, **სილაბუსებში მეთოდების აღწერის დეტალიზაციის ხარისხი ერთგვაროვანი არ არის**. განსაკუთრებით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კურსში მეთოდები ძირითადად ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილი და ნაკლებად მკაფიოდ იკვეთება მათი გამოყენების კონკრეტული ფორმა და კავშირი ცალკეულ სწავლის შედეგებთან. მიუხედავად ამისა, კურსის შინაარსი და გათვალისწინებული პრაქტიკული აქტივობები ადასტურებს მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის არსებულ კავშირს.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სილაბუსების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **პროგრამით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები ძირითადად შესაბამისობაშია სადოქტორო განათლების საფეხურის სპეციფიკასთან, პროგრამისა და სასწავლო კომპონენტების მიზნებსა და სწავლის შედეგებთან**. გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფს დოქტორანტის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელ და პრაქტიკულ მუშაობას, კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას, აკადემიურ კომუნიკაციასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.
ამასთან, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერის უფრო **ერთგვაროვანი და დეტალიზებული ფორმით წარმოდგენა** კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს თითოეული მეთოდის ფუნქციურ დანიშნულებასა და მის კავშირს კონკრეტულ სწავლის შედეგებთან. აღნიშნული წარმოადგენს გაუმჯობესების შესაძლებლობას და არ აყენებს ეჭვქვეშ პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების საერთო შესაბამისობას სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები ერთიანი და თანმიმდევრული ფორმით იყოს აღწერილი და მათი მხოლოდ ჩამონათვალის შემთხვევაში, დაკონკრეტდეს აღნიშნული მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების ფორმები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისერტაციის/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;

- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და

კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;

- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია დოქტორანტთა სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა. პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, შეფასება ხორციელდება შუალედური და დასკვნითი კომპონენტების საფუძველზე, 100-ქულიანი სისტემით. განსაზღვრულია დადებითი და უარყოფითი შეფასების კატეგორიები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვარი და დასკვნითი შეფასებისთვის საჭირო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები მრავალფეროვანია და მოიცავს პრაქტიკულ და წერით დავალებებს, სამეცნიერო სტატიის რეცენზირებას, დამოუკიდებელი ნაშრომის მომზადებას, პრეზენტაციას, დისკუსიებში მონაწილეობას, პროექტების შესრულებას, ტესტირებასა და ზეპირ/წერით გამოცდას. მაგალითად, „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ აფასებს სამეცნიერო ტექსტის მომზადების, ანალიზის, არგუმენტაციის, კვლევის სიღრმისა და ორიგინალურობის, მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებისა და აკადემიური სტანდარტების დაცვის უნარებს. „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგიის“ შეფასება მოიცავს სემინარულ ჩართულობას, წერით დავალებებს, პრეზენტაციას, შუალედურ და დასკვნით ანალიტიკურ ნაშრომებს.

სხვა სასწავლო კომპონენტებში შეფასება ეფუძნება კურსების სპეციფიკის შესაბამის აქტივობებს. „მეცნიერების მენეჯმენტში“ ფასდება პრაქტიკული დავალებები, პროექტი, სამეცნიერო სტატია, პრეზენტაცია და გამოცდა; „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიებში“ დისკუსიებში მონაწილეობა, პროექტული და საპრეზენტაციო საქმიანობა, ანალიტიკური ნაშრომი და სწავლების გეგმის შემუშავება; „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპებში“ სასემინარო აქტივობა, ტესტირება, სილაბუსის პრეზენტაცია და საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმის შექმნა.

კვლევითი კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი ასრულებს და საჯაროდ წარმოადგენს ორ სამეცნიერო-კვლევით პროექტს. თითოეული პროექტი ფასდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე რეცენზენტის შეფასებისა და საჯარო პრეზენტაციის საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. ორივე პროექტის დადებითი შეფასება წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას. განხილვაში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ხელმძღვანელი და შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, ხოლო მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება სავალდებულოა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების პირობები მოიცავს 40 ECTS კრედიტის შესრულებას, ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებასა და საჯარო წარდგენას და სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი არანაკლებ სამი პუბლიკაციის არსებობას. ამასთან, პროგრამა განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მოთხოვნებს და სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატის გამოვლენის პროგრამული საშუალებით შემოწმებას.
სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხორციელდება დაცვის კომისიის მიერ, კონფიდენციალური და 100-ქულიანი შეფასების სისტემით. საბოლოო ქულა განისაზღვრება კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით. პროგრამა ითვალისწინებს შეფასების სრულ შკალას და არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ნაშრომის გადამუშავებისა და ხელახალი წარდგენის შესაძლებლობას. შეფასების პროცესი ასევე დაკავშირებულია უნივერსიტეტის სადოქტორო მინიმალურ სტანდარტსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის შესაბამის დებულებასთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურებთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები და მექანიზმები განსაზღვრულია**. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ მინიმუმ ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულებასა და საჯარო წარდგენას, რაც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას.
ასევე განსაზღვრულია **პუბლიკაციის მოთხოვნები** - დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი მინიმუმ სამი პუბლიკაცია, მათგან ორი საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს Scopus-ის, Web of Science-ის ან შესაბამის შემთხვევაში ERIH PLUS-ის ბაზაში ინდექსირებული.
პროგრამაში **კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმებიც არის გაწერილი**: კვლევითი პროექტის ნაშრომს აფასებს შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტი, ხოლო პრეზენტაცია ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. დადებითი შეფასება წარმოადგენს დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხორციელდება დაცვის კომისიის მიერ, ასქულიანი სისტემით და განსაზღვრული შეფასების სკალის შესაბამისად.
აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმიც განსაზღვრულია - დოქტორანტს მოეთხოვება დამოუკიდებლად შესრულებული ნაშრომის წარმოდგენა, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვა და ნაშრომის პლაგიატის აღმომჩენ პროგრამაში შემოწმება.

ანალიზი - შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა ქმნის დოქტორანტის სასწავლო შედეგების ეტაპობრივად და კომპლექსურად შეფასების საფუძველს. შუალედური და დასკვნითი შეფასებების, პრაქტიკული და კვლევითი დავალებების, პრეზენტაციებისა და დამოუკიდებელი ნაშრომების ერთობლიობა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს არა მხოლოდ დარგობრივი ცოდნა, არამედ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობა, კვლევითი და პრაქტიკული კომპეტენციები.
სასწავლო კურსების შეფასების ინსტრუმენტები ძირითადად თანხვედრაშია შესაბამისი კურსების მიზნებთან, შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. შეფასების პრაქტიკული ფორმები დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნა გამოიყენოს აკადემიური და კვლევითი ამოცანების შესრულებისას, ხოლო სხვადასხვა ტიპის დავალებების გამოყენება უზრუნველყოფს განსხვავებული სასწავლო შედეგებისა და ინდივიდუალური აკადემიური შესაძლებლობების გამოვლენას.
კვლევითი კომპონენტის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოქტორანტის პროგრესის მონიტორინგის თვალსაზრისით. ორი კვლევითი პროექტის სავალდებულო შესრულება, მათი რეცენზირება, საჯარო განხილვა და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება ქმნის განმავითარებელი შეფასების ციკლს და უზრუნველყოფს კვლევის თანმიმდევრულ განვითარებას სადისერტაციო ნაშრომის დასრულებამდე. კვლევითი პროექტების დადებითი შეფასების დაკავშირება დისერტაციის დაცვაზე დაშვებასთან ასევე უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის შედეგების მნიშვნელოვნად გათვალისწინებას საბოლოო აკადემიური პროცესის ფარგლებში.
სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურები, მათ შორის დაცვის კომისიის მიერ კონფიდენციალური შეფასება, 100-ქულიანი სისტემა, შეფასების დიფერენცირებული შკალა და ხელახალი წარდგენის შესაძლებლობა, ქმნის ნაშრომის ხარისხის კომპლექსური შეფასების მექანიზმს.

აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნები და პლაგიატის შემოწმება დამატებით უზრუნველყოფს შეფასების პროცესის აკადემიური ეთიკის პრინციპებთან შესაბამისობას.
ამასთან, წარმოდგენილ მასალებში იკვეთება **ცალკეული ტექნიკური და შინაარსობრივი შეუსაბამობები შეფასების მოთხოვნებს შორის**. კერძოდ, პროგრამით დასკვნით გამოცდაზე დაშვებისთვის განსაზღვრულია არანაკლებ 21 შუალედური ქულის დაგროვება, მაშინ როდესაც „მეცნიერების მენეჯმენტის“ სილაბუსში მითითებულია 11 ქულა. ასევე, „აკადემიური წერის“ სილაბუსში შუალედური წერითი დავალების შეფასების რუბრიკაში ფიქსირდება ქულობრივი დიაპაზონების გადაფარვა და არათანმიმდევრულობა. აღნიშნული საკითხები საჭიროებს ტექნიკურ კორექტირებას, რათა პროგრამისა და სილაბუსების მოთხოვნები სრულად თანხვედრაში იყოს და დოქტორანტებისთვის შეფასების პირობები ერთმნიშვნელოვნად აღქმადი დარჩეს.

შეჯამება - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დოქტორანტთა სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა ძირითადად შესაბამისობაშია სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებთან, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან**. მრავალკომპონენტიანი შეფასება მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივ შეფასებას და უზრუნველყოფს ცოდნის, კვლევითი კომპეტენციების, ანალიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების გამოვლენას.
კვლევითი პროექტების რეცენზირება, საჯარო განხილვა და უკუკავშირის გათვალისწინება უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევითი პროგრესის მონიტორინგსა და განმავითარებელ შეფასებას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების პროცედურები ქმნის მისი ხარისხის კომპლექსური შეფასების ინსტიტუციურ ჩარჩოს.
ამასთან, **შეფასების პირობების სრულად ერთგვაროვანი და გამჭვირვალე გამოყენებისთვის საჭიროა გამოვლენილი ტექნიკური შეუსაბამობების კორექტირება**, კერძოდ, დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვრის პროგრამასა და სილაბუსებს შორის თანხვედრაში მოყვანა და „აკადემიური წერის“ შეფასების რუბრიკაში ქულობრივი დიაპაზონების დაზუსტება. აღნიშნული კორექტირება გააძლიერებს შეფასების სისტემის თანმიმდევრულობასა და ერთმნიშვნელოვან გამოყენებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კულტურის კვლევების პროგრამის სტრუქტურა;
- კულტურის კვლევების პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები:
- „აკადემიური წერა დოქტორანტურის სტუდენტებისთვის“ სილაბუსი;
- „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსი;
- „კულტურის კვლევები: დარგის თანამედროვე ტენდენციები, კვლევითი და გამოყენებითი ასპექტები“ სილაბუსი;
- „მეცნიერების მენეჯმენტი“ სილაბუსი;
- „საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები“ სილაბუსი;
- „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სილაბუსი;
- „ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია“ სილაბუსი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაზუსტდეს „ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ სილაბუსში დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის დადგენილი მინიმალური ზღვარი და შეფასების რუბრიკებში გამოყენებული

ქულობრივი შკალები, რათა შეფასების პროცედურები იყოს თანმიმდევრული, მკაფიო და ერთმნიშვნელოვნად აღქმადი დოქტორანტებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან /უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.
- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ- კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;

- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ანალიზი -

შეჯამება -

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1_სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 დოქტრანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს დოქტორანტებს.
- სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს

შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;

- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ჩართულობას ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის სტატუსით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ანალიზი -

შეჯამება -

დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - **ნაშრომების ხელმძღვანელები** /დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- უსდ - ში არსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა და შერჩევის პროცედურები, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული

რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;
- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პერსონალის მცირედმა განახლებამ არ გამოიწვია პერსონალის არსებითი ცვლილება. ესპერტთა ჯგუფს სიღრმისეული ანალიზისთვის დასჭირდა დამატებითი დოკუმენტების შესწავლა. რაც უსდ-დან მოეწოდა არასრული მოცულობით. პროგრამის განმახორციელებელი მოქმედი აკადემიური პერსონალი ნაწილობრივ ფლობს შესაბამის დარგობრივ, კვლევით და აკადემიურ კომპეტენციებს, რაც მოცემულ ეტაპზე ეჭვქვეშ აყენებს სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სადოქტორო საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაში ჩართული პროფესურა ყოველწლიურად არ აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალებში. აღნიშნული პროცესები საფრთხეს უქმნის პროგრამის შესაბამისობის შენარჩუნებას ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

ანალიზი -

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და თვითშეფასების ანგარიშის გათვალისწინებით, უსდ-ს მიერ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პერსონალის უსდ-ს მიერ არ განხორციელებულა პერსონალის რაოდენობის არსებითი ცვლილება. სტანდარტის მიხედვით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დამატებით მონაცემების საფუძველზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 4 შესაბამისი სფეროს პერსონალი, აქედან ერთი პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. ჯამში ჩართულია 9 აკადემიური პირი; აქედან 3 პროფესორი და 6 ასოცირებული პროფესორი. ყველა მათგანი აფილირებულია.

სტანდარტის მიხედვით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას; უსდ-ს მიერ გამოგზავნილი პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე პერსონალის და განსაკუთრებით 4 დარგობრივი აკადემიური პირის ნაშრომებით ნაწილობრივ არ დასტურდება მათი აქტიურობა საერთაშორისო ინდექსის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით. აქედან 2 მათგანს 2024 წლის შედგომ სტატიის გამოქვეყნება არ უფიქსირდება. პროგრამის განმახორციელებელი დანარჩენი აკადემიური პირები არ არიან დარგობრივი მიმართულების და შესაბამისად არ ახორციელებენ დარგის შესაბამის სამეცნიერო საქმიანობას.

თვითშეფასების ანგარიშისა და დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე უსდ-ში კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არ არის ჩართული უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი;

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, იგი ფლობს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნას და გამოცდილებას, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. თუმცაღა, აქვს საკმაოდ მაღალი დატვირთვა როგორც დოქტორანტის ხელმძღვანელს. არსებული მონაცემებით იგი წარმოადგენს 9 დოქტორანტის ხელმძღვანელს და დატვირთვის მხრივ გასაანალიზებელია რამდენად არის შესაძლებელი დროის ეფექტურად გადანაწილება და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელობა და მართვა.

შეჯამება -

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით უსდ-მ უნდა განაახლოს აკადემიური კორპუსი და გაამდიდროს დარგის შესაბამისი აკადემიური პერსონალით. აუცილებელია სადოქტორო საფეხურის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა მოიცავდეს უახლეს და დარგის შესაბამის კვლევებს, რაც გამოიხატება საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით. მოცემულ ეტაპზე უსდ მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**9**	**4**	**4**	**9**
- წამყვანი პროფესორი				
- პროფესორი	3	1	1	3
- ასოცირებული პროფესორი	6	3	3	6
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	2			–
სამეცნიერო პერსონალი				–
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი				

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- თვითშფასების ანგარიში
- პერსონალის მონაცემების დამატებით გამოგზავნილი დანართი 1, დანართი 2, დანართი 3

[რეკომენდაციები]

- რეკომედებულია პროგრამის განხოციელებაში ჩართული პერსონალის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდებოდეს, მათ მიერ საერთაშორისო ინდექსის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული არანაკლებ 1 სამეცნიერო სტატიით.
- რეკომენდებულია დარგობრივი აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

სასურველია უსდ ხელს უწყობდეს პროგრამის განხორციელებაში უცხოური უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

4.2 დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში -

შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა -

ექსპერტმა ჯგუფმა შეისწავლა უსდ-ს მიერ პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რაც მოიცავდა ძირითადად თვითშეფასებისა და ნაშრომის ხელმძღვანელთა პირადი საქმეების ანალიზს, CV-ებში მითითებული სამეცნიერო სტატიების სათაურებით, კონფერენციებითა და მათი ძირითადი მიმართულებით ნაწილობრივ ვერ დადასტურდა რიგი ხელმძღვანელის სამეცნიერო პროდუქტიოულობა, კვლევითი საქმიანობის პროგრესი, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებსა და სპეციფიკასთან. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა შემდეგი დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა:

1. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სახელობითი სია, პოზიციით და მათი პროფესიული დარგის მითითებით.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის სახელობითი სია.

3. ყველა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი უკანასკნელი 5 წლის მონაცემებით,**მათ შორის ნაშრომის ხელმძღვანელთა.**

4. **სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი აკადემიური პირების სახელობითი სია.**

5. **ნაშრომის ხელმძღვანელთა წახალისების მექანიზმები და არსებობის შემთხვევაში დამადასტურებელი მტკიცებულებები.**

9 აკადემიური პირიდან მხოლოდ 4 მათგანი განიხილება ნაშრომის ხელმძღვანელად, რადგან წარმოადგენენ დარგის შესაბამის აკადემიურ პირებს. თუმცაღა, ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებულმა დოკუმენტებმა ვერ დაადასტურა ნაშრომის ხელმძღვანელების სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით, მათი სამეცნიერო პროდუქტიულობა.

ანალიზი -

როგორც 4.1 ქვესტანდარტში აკადემიურ პირებზე განიმარტა, სტანდარტის მიხედვით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომის ხელმძღვანელების შემთხვევაშიც, მათი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას; უსდ-ს მიერ გამოგზავნილი პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე პერსონალის და განსაკუთრებით 4 დარგობრივი აკადემიური პირის, იგივე ნაშრომის ხელმძღვანელის პუბლიკაციების ჩამონათვალით ნაწილობრივ დასტურდება მათი აქტიურობა საერთაშორისო ინდექსის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით. 2 ნაშრომის ხელმძღვანელს 2024 წლის შემდგომ სტატიის გამოქვეყნება საერთოდ არ უფიქსირდება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უსდ-მ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალის სია მათ ხელმძღვანელობაში მყოფი დოქტორანტების მითითებით 2026 წლის სექტემბრის მონაცემებით. ერთ-ერთ ნაშრომის ხელმძღვანელს ჰყავს 9 დოქტორანტი, რაც საკმაოდ მაღალი დატვირთვაა და დარგში არსებულ კარგ

პრაქტიკას არ შეესაბამება. დანარჩენ ნაშრომის ხელმძღვანელებზე გადანაწილებულია შედარებით ნაკლები დატვირთვა 4-5 სტუდენტის მოცულობით.

რაც შეეხება ნაშრომის ხელმძღვანელთა წახალისების მექანიზმებს, უსდ-მ ექსპერტთა ჯგუფს დამატებით მიაწოდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საუნივერსიტეტო წესის განსაზღვრის შესახებ ბრძანება, რომელშიც მითითებულია აკადემიური პირების წახალისებისათვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტის რაოდენობა, 150 000 ლარის მოცულობით. აღნიშნულ ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი კონრეტულად რა რაოდენობის თანხის ათვისებაა შესაძლებელი კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის ნაშრომის ხელმძღვანელებისათვის.

შეჯამება -

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აუცილებელია ნაშრომის ხელმძღვანელთა სამეცნიერო საქმიანობის უფრო სიღრმისეული კვლევა, მონიტორინგი და წახალისება. პირადი საქმეებისა და დამატებით გამოგზავნილის დოკუმენტების შესწავლამ ცხადყო, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა უნდა განავითარონ თავიანთი საქმიანობა დარგის შესაბამისი საერთაშორისო ინდექსის მქონე ჟურნალებში გამოქვყნებული სტატიებით. ისინი უნდა ფლობდნენ უახლეს ცოდნას დარგში და 2024 წლის თარიღით არ უნდა ჰქონდეთ ბოლო სტატია გამოქვეყნებული. ამ პრობლემის სათავე შესაძლოა იყოს ერთ ხელმძღანელზე დოქტორანტების ძალიან დიდი რაოდენობა, რისი ოპტიმიზაციაც უსდ-მ აუცილებლად უნდა განახორციელოს.

სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**4**	**4**	**4**
- წამყვანი პროფესორი			
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი			

მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი			

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის პირადი საქმეები
- დანართი 1 პერონალის მონაცემები
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საუნივერსიტეტო წესის განსაზღვრის შესახებ ბრძანება

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია ნაშრომის ხელმძღვანელების მიერ რეგულარულად და სტანდარტის შესაბამისად, ხორციელდებოდეს დარგის შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო იდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალებში.
- რეკომენდებულია ერთ ხელმძღვანელზე დოქტორანტების რაოდენობის ოპტიმიზაცია და მისი რაოდენობის შემცირება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა -

სტანდარტის მიხედვით დაწესებულება რეგულარულად უნდა აწარმოებდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უსდ უნდა ზრუნავდეს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობდეს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. თვითშეფასების ანგარიშში უსდ-მ არ მიუთითა შეფასებისა და პროფესიული განვითარების მხრივ განხროციელებული აქტივობები. ექსპერტთა ჯგუფს დამატებით მოეწოდა მხოლოდ სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საუნივერსიტეტო წესის განსაზღვრის შესახებ ბრძანება, რომელიც სრულად არ ასახავს ამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში რა ტიპის წახალისებასა და პროფესიულ განვითარებაზეა საუბარი.

ანალიზი -

უსდ-ს თვითშეფასების ანგარიში და დამატებით მოწოდებული დოკუმენტი არ იძლევა სიღრმისეული ანალიზის საშუალებას.

შეჯამება -

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ჩარჩოსთან შესაბამისობის მოყვანის პროცესში დამატებითი პროფესიული განვითარების ღონისძიებები არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები]

რეკომენდებულია უსდ რეგულარულად აფასებდეს პროგრამის პერსონალს და იყენებდეს შედეგების ანალიზს პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებებისთვის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ანალიზი -

შეჯამება -

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო- კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ანალიზი -

შეჯამება -

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (დოქტორანტი, კურსდამთავრებული,

პერსონალი, დოქტორანტის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ანალიზი -

შეჯამება -

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა პერიოდულად აანალიზებს გარე ხარისხის შეფასების, მიღებული რეკომენდაციების შესრულების შედეგებს, რომელსაც იყენებს პროგრამის განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ანალიზი -

შეჯამება -

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღწერა -

ანალიზი -

შეჯამება -

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ ჩარკვიანი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა ქვათაძე

